

ქვეყნის ქვეყნები სწიხება

წიხი ახალი 2016

ნიდერლანდების ინსტიტუტი
მრავალპარტიული დემოკრატიისათვის

12

პირველად 2016 წელს

14

საარჩევნო
პროგრამები

6

მისაღმება,
ლევან წუნჭირიძე

18

ერთვლელი
უმცირესობების
ინტეგრაცია

20

NIMD-ის მისია
უკრაინაში

22

სამხრეთ კავკასიისა
და უკრაინის ფორუმი

30

დიალოგი
პარტიებთან

32

„იდენტობა“ –
დემოკრატიის
ზამთრის განაკვი

36

დემოკრატიის
ლიტერი 2016

38

NIMD-ელევი პოლიტიკაში

IMPRESSUM: ნიდერლანდების ინსტიტუტის მრავალპარტიული დემოკრატიისათვის აღმოსავლეთ ევროპის ოფისის 2016 წლის ანგარიში

გამოცემაზე მუშაობდნენ: ნინო ჯაფიაშვილი, ლევან ცუცქერიძე, მარიამ ჩიხლაძე, სალომე მუხურაძე, ანა გიორგაძე

რედაქტორი: ნინო საითიძე

დიზაინი: გამომცემლობა ინდივო

სტამბა: Zevs Group

დაბეჭდვის თარიღი: 2017

ISBN: 978-9941-0-9889-5



Netherlands Institute for Multiparty Democracy Eastern European Neighbourhood Office

NIMD-ის მისია და სტრატეგია

ნიდერლანდების ინსტიტუტი მრავალპარტიული დემოკრატიისათვის კოლანდიის პოლიტიკური პარტიების მიერ შექმნილი ორგანიზაციაა, რომელიც მხარს უჭერს დემოკრატიული სისტემის განვითარებას ახალი დემოკრატიის ქვეყნებში. ის მუშაობს 25-ზე მეტი ქვეყნის 150 პოლიტიკურ პარტიასთან აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში, აზიასა და აღმოსავლეთ ევროპაში.

NIMD მიიჩნევს, რომ ახალი დემოკრატიის მქონე ქვეყნების მდგრადი განვითარებისთვის საუკეთესო პირობებს მრავალპარტიული დემოკრატია ქმნის. ასეთ მოცემულობაში:

ხალხის ხმა გათვალისწინებულია

სახელმწიფო ასრულებს დაკისრებულ პასუხისმგებლობას

პოლიტიკას მოაქვს სარგებელი

NIMD-ის „ცვლილებების თეორიის“ თანახმად, მრავალპარტიული დემოკრატიის შექმნისთვის უნდა არსებობდეს:

- 1** დემოკრატიული პოლიტიკური კულტურა
- 2** დემოკრატიული პოლიტიკური აქტორები ანუ პარტიები
- 3** სამართლიანი პოლიტიკური სისტემა

NIMD ცდილობს, ხელი შეუწყოს, ერთი მხრივ, პოლიტიკური პარტიების შიდა დემოკრატიის განვითარებას, მეორე მხრივ კი, ინტერპარტიულ დიალოგს. უშუალოდ ეხმარება პოლიტიკურ აქტორებს, რათა ისინი გახდნენ უკეთ ორგანიზებული და ეფექტურად დახვეწონ პოლიტიკური პროგრამები. ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ ჯგუფებს, რომელთაც სურთ პოლიტიკაში მონაწილეობის გაძლიერება, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო, ამ ეტაპზე პოლიტიკური პროცესების მიღმა რჩებიან.

NIMD-ის კიდევ ერთი სტრატეგიული მიმართულება პოლიტიკური განათლების პროგრამების შექმნის გზით დემოკრატიული კულტურის ნახალისებაა. ეს პროგრამები პოლიტიკური ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობაზე დაფუძნებული.

აღმოსავლეთევროპულ სამეზობლოში NIMD-ს ოთხი საყრდენი პროგრამა აქვს:

პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა

პროგრამის მიზანი: პოლიტიკური პარტიების სტრატეგიული დაგეგმვის გაუმჯობესება, მათი ორგანიზაციული ქმედითუნარიანობის, ინსტიტუციონალიზაციისა და შიდა დემოკრატიის გაძლიერება.

დემოკრატიის განათლებისა და დემოკრატიული რეფორმების მხარდაჭერა

პროგრამის მიზანი: გააძლიეროს დემოკრატიის მოთხოვნა საზოგადოებაში და შექმნას საფუძველი პოლიტიკური პლურალიზმისათვის. საკანონმდებლო რეფორმებისა და საკანონმდებლო ინიციატივების ნახალისებით, ეფექტური, გამჭვირვალე და მდგრადი დემოკრატიის მშენებლობის ხელშეწყობა.

სამხრეთ კავკასიის რეგიონული პროგრამა

პროგრამის მიზანი: დემოკრატიის გაძლიერება აზერბაიჯანსა და სომხეთში პოლიტიკური კონსოლიდაციისა და სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის გზით.

მისია უკრაინაში

პროგრამის მიზანი: უკრაინაში NIMD-ის სტრატეგიული ამოცანაა პოლიტიკური დიალოგისა და ისეთი საკანონმდებლო და ინსტიტუციონალური რეფორმების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში დემოკრატიის გაძლიერებას. 2017 წელს ლვოვსა და ოდესაში NIMD დემოკრატიის სკოლებს ხსნის, რომელთა პროგრამების ფოკუსი უკრაინის სამოქალაქო და პოლიტიკური საზოგადოების ანტიკორუფციული შესაძლებლობების განვითარება იქნება.



ლევან ცუცქერიძე

ძვირფასო მკითხველო,

2016 მნიშვნელოვანი წელი იყო ჩვენი რეგიონისთვის და, შესაბამისად, ჩვენი ორგანიზაციისათვის. საქართველოსთვის ეს საპარლამენტო არჩევნების უკიდურესად პოლარიზებული წელი იყო. უკრაინის საზოგადოება და მთავრობა, ერთი მხრივ, რუსეთის აგრესიას უნდა გამკლავებოდა, ხოლო მეორე მხრივ, გაეგრძელებინა სახელმწიფოს აღმშენებლობისთვის საჭირო მნიშვნელოვანი და, ამასთანავე, არაპოპულარული რეფორმები. სამხედრო შეტაკებებმა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მნიშვნელოვნად გაართულა მათი ისედაც უნდობლობით სავსე სუსტი ურთიერთობა. ანტიდემოკრატიული პროპაგანდის გაძლიერების ფონზე, კიდევ უფრო აქტუალური გახდა დემოკრატიული ფასეულობების დაცვა, მათი განმტკიცებისთვის მუშაობა.

სწორედ ამ გამონეგვებზე მუშაობას დავუთმეთ გასული წელი. საქართველოში საპარლამენტო არჩევნებისთვის www.partiebi.ge-ს ახალი ვერსია გამოვეცით, სადაც ამომრჩეველს შეეძლო, ძირითადი პოლიტიკური პარტიების პროგრამებს გასცნობოდა და ისინი ერთმანეთისათვის შეედარებინა. 2012 წლიდან მოყოლებული, ეს ვებგვერდი უნიკალურ როლს ასრულებს ამომრჩევლის ინფორმირების საქმეში. NIMD-ის დემოკრატიის სკოლები აგრძელებდნენ მუშაობას დემოკრატიული კულტურისა და ტრადიციის გასაძლიერებლად საქართველოში. **წლის დასასრულს, დემოსკოლების ტრადიციული ბანაკიც მოვანწყვეთ. ამჯერად მსჯელობის თემა „იდეტობა“ იყო.** ეს იმიტომ, რომ დავხმარებოდით ჩვენს კურსდამთავრებულებს იმის გააზრებაში, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე საქართველო და რას ნიშნავს, იყო მისი მოქალაქე. ამასთან, ეს ჩვენი მცდელობაც იყო, წინ აღვდგომოდით იმ შეხედულებას, თითქოს დემოკრატიზაცია, საქართველოს დაახლოება ევროკავშირთან, ადამიანის უფლებების დაცვა და უმცირესობათა პატივისცემა ეწინააღმდეგება ან ემუქრება ქვეყნის ტრადიციებსა და იდეტობას. თანამედროვე მსოფლიო წარმოუდგენლად სწრაფი ტემპით ვითარდება და ჩვენ ეს გვაძლევს შანსს, სწრაფად ვისწავლოთ და დაკარგული დრო ავინაზღაუროთ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა

ჩვენ მიერ ქუთაისში მოწყობილი „დემოკრატიის ჰაკათონი“, სადაც მონაწილეებს პროგრამირების საფუძვლები შევასწავლეთ. ვერც კი წარმოვიდგინდი, თუკი შესაძლებელი იყო საინტერესო, ფუნქციონირებადი მობილური აპლიკაციის ერთ კვირაში შექმნა! **პარალელურად, NIMD-ის პოლიტიკური პარტიების განვითარების პროგრამა აგრძელებდა ინდივიდუალური მხარდაჭერის პროგრამებს პოლიტიკური პარტიებისათვის,** რათა გაუმჯობესებულიყო მათი მმართველობა და პოლიტიკური უნარები, დანერგილიყო ახალი ტექნოლოგიები პარტიული მართვის საკითხებში, კიდევ უფრო მეტად გაძლიერებულიყო შიდაპარტიული დემოკრატია და მათ მეტი საინტერესო ადამიანი მიეზიდათ პოლიტიკაში, მთელი საქართველოდან. 2016-ში ვიმუშავეთ ეროვნული უმცირესობების პოლიტიკაში ჩართულობისა და ამ მიმართულებით პოლიტიკური პარტიების ყურადღების გასაძლიერებლად. სამხრეთ კავკასიაში არსებული დაძაბული ვითარების ფონზე, ჩვენ გავაღრმავეთ კონტაქტები ახალგაზრდა პოლიტიკოსებს შორის აზერბაიჯანის, სომხეთის, საქართველოს და უკრაინის პოლიტიკური პარტიებიდან. „სამხრეთ კავკასიისა და უკრაინის ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ფორუმმა“, რომელსაც საქართველოს პარლამენტი მასპინძლობდა,

და, 100-მდე სტუმარი მიიღო. 2016 წელს, ასევე, ვიმოქმედეთ იმ ანტიდემოკრატიული პროპაგანდისა და ცრუ ახალი ამბების წინააღმდეგ, რაც ასე მომძლავრდა მსოფლიოში და ჩვენშიც. ტრენინგების სერია, რომელიც ახალგაზრდა პოლიტიკოსებისთვის მოვანწყვეთ, სწორედ ამ, ხელოვნური მითებისა და ანტიდემოკრატიული, ანტიევროპული პროპაგანდის წინააღმდეგ იყო მიმართული. **გასული წელი მნიშვნელოვანი იყო ჩვენი საქმიანობისათვის უკრაინაში.** 2016 წელს ოფიციალურად გაიხსნა კიევის ახალი ოფისი. ჩვენი პირველი ნაბიჯები მიმართული იყო მიმდინარე პოლიტიკური რეფორმების მხარდასაჭერად უკრაინაში: გასულ წელს განვხორციელეთ სამი კვლევა: პოლიტიკური პარტიების დაფინანსების, პოლიტიკაში ქალთა მონაწილეობის და პოლიტიკური განათლების საკითხებზე. გარდა ამისა, კარგად შევისწავლეთ ქვეყნის საჭიროებები დემოკრატიზაციის მხარდაჭერი პროგრამების მხრივ. სოციალური მედიის სტრატეგიის ტრენინგზე, რომელიც კიევში მოეწყო, უკრაინელ პოლიტიკოსებთან ერთად საქართველოს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც მივიწვიეთ. გამოცდილების გაზიარება და თანამშრომლობა ამ ორ ქვეყანას შორის უაღრესად მნიშვნელოვანია. ის ასევე საჭიროა ჩვენთვისაც: რათა მეტი ვისწავლოთ რეგიონული თავისებურებებისა და მსგავ-

სებების შესახებ და ამით უკეთ დავგვემოთ ჩვენი საქმიანობა ამ ქვეყნებში. **2017 წელს ახალი გეგმებითა და პრიორიტეტებით ვხვდებით.** საქართველოში ადგილობრივი არჩევნები გაიმართება და ახალ, საინტერესო წინასაარჩევნო პროექტებს ვგეგმავთ. ეს პროექტები ამომრჩევლებს მეტ ინფორმაციას მისცემს პარტიების ხედვებისა და პოზიციების შესახებ, თავად პოლიტიკოსებს კი დაეხმარება, უკეთ შეიმუშაონ პოლიტიკური და საარჩევნო პროგრამები. პოლიტიკური ოპოზიციის ფრაგმენტაცია და ტრადიციული, ცენტრისტული პარტიების დამარცხება საპარლამენტო არჩევნებში, პოტენციურ სირთულეებს ქმნის დემოკრატიული პლურალიზმის თვალსაზრისით. ჩვენ შევვცდებით, ხელი შევუწყობთ პლურალისტური პოლიტიკური გარემოს შენარჩუნებას საქართველოში და კვლავ გავაგრძელოთ პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციული განვითარების მხარდაჭერა. **დემოკრატია ეს არის მძიმე, რთული პროცესი: თავისუფლებას მუდმივად სჭირდება დაცვა, რადგან სხვა შემთხვევაში იგი ხელიდან სწრაფად გაიშვება.**

გავაგრძელოთ სამხრეთ კავკასიაში აქტიურობას და მომავალ პოლიტიკოსებს შორის პოზიტიური, ნდობით სავსე ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ვგეგმავთ ახალი დემოკრატიის სკოლების დაფუძნებას საქართველოსა და უკრაინაში. ჩვენი ოფისი ამჟამად რეგიონის ოთხ ქვეყანაში მუშაობს, თუმცა ვაპირებთ, ჩვენი საქმიანობა აღმოსავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებშიც განვაგრძოთ. **გემოთ ჩამოთვლილი არცერთი პროგრამა არ გამოგვივიდოდა, ჩვენ გვერდით რომ არ იყვნენ მეგობრები და პარტნიორები:** პოლანდიის საგარეო საქმეთა სამინისტრო და პოლანდიის საელჩო საქართველოსა და სომხეთში; დიდი ბრიტანეთის საელჩო საქართველოში; ეუთოს ეროვნული უმცირესობების კომისარი და მისი ოფისი საქართველოში; კანადის საელჩო საქართველოში. დიდი მადლობა მათ იმისთვის, რომ შესაძლებლობა გვაქვს, ვაკეთოთ ის საქმე, რაც ჩვენი ქვეყნების განვითარებას ეხმარება. ასევე, მადლობა მინდა ვუთხრა იმ ლექტორებს, მკვლევრებსა და ექსპერტებს, ვინც ჩვენთან რეგულარულად თანამშრომლობს – მათ გარეშე ბევრი რამ შეუძლებელი იქნებოდა. ჩემს თანამშრომლებს კი, თბილისში, თელავში, გორში, ქუთაისში, ბათუმსა და კიევში, სამართლიანად შეუძლიათ იამაყონ იმ მიღწევებით, რომლებიც ამ პუბლიკაციაშია მოკლედ აღწერილი.



ლევან ცუცქერიძე

NIMD-ის აღმოსავლეთ ევროპის რეგიონული ოფისის დირექტორი.

გამოცდილება:

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ყოფილი რექტორი; სამოქალაქო რეესტრის რეფორმის პირველი ფაზის პროექტის მენეჯერი; ყოფილი მენეჯერი ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასა და ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოში“.

განათლება:

მაგისტრის ხარისხი, ჯონს ჰოპკინსის პოლ ნიცზეს სახელობის საერთაშორისო ურთიერთობების სკოლა.

ინტერესები:

საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა, პოლიტიკური ინსტიტუტებისა და დემოკრატიული განვითარების საკითხები.



სალომე მუხურაძე

პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერის პროგრამის ხელმძღვანელი.

გამოცდილება:

სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორში მუშაობისას მონაწილეობდა სამოქალაქო საზოგადოების დემოკრატიული მოდელის შემუშავებაში; საერთაშორისო სამართლის ლექტორი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.

განათლება:

მაგისტრის ხარისხი კულტურათაშორისი კონფლიქტების მართვაში, ASH, ბერლინი. საერთაშორისო სამართლის მაგისტრი და ბაკალავრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ინტერესები:

ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა და საჯარო პოლიტიკა.

ჩემი მიზანი დემოკრატიული პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების ხელშეწყობაა.



მარიამ ჩიხლაძე

დემოკრატიის განათლების პროგრამის ხელმძღვანელი.

გამოცდილება:

პრაქტიკა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროსა და პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში; ხელმძღვანელობდა „ევროპის ახალგაზრდული პარლამენტის“ საქართველოს ეროვნულ კომიტეტს.

განათლება:

საერთაშორისო პოლიტიკისა და დიპლომატიის მაგისტრი, GIPA. საერთაშორისო ურთიერთობების ბაკალავრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ინტერესები:

განვითარების თეორიები, პოლიტიკური ინსტიტუტები და საერთაშორისო ურთიერთობების თეორიები.

დემოკრატიის გარეშე, დემოკრატიას ვერ ავაშენებთ. ამიტომ მათი აღმოჩენა, გაძლიერება და ერთმანეთთან შეკავშირება ჩემი საქმიანობის მთავარი ამოცანაა.



დენის დეგურკო

რეგიონული პროგრამის ოფიცერი.

განათლება:

ისტორიის ბაკალავრი, ტარას შევჩენკოს ეროვნული უნივერსიტეტი, კიევი. საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი, ვენის დიპლომატიის აკადემია და ვენის უნივერსიტეტი.

ინტერესები:

ევროპული ინტეგრაცია, დემოკრატიის ხელშეწყობა, კონფლიქტების მოგვარება და შუამავლობა.



კირილო ტრუბტაკო

უკრაინის პროგრამის ოფიცერი.

გამოცდილება:

უმალლესი რადის მდივანი, უკრაინის პარლამენტი. საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორი პარლამენტში. შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის მდივანი.

განათლება:

ისტორიის ფაკულტეტი, ტარას შევჩენკოს ეროვნული უნივერსიტეტი, კიევი.

ინტერესები:

საგარეო პოლიტიკა, უკრაინის პოლიტიკა, უკრაინის და მსოფლიო კულტურა, არქიტექტურა.

ჩემი მიზანია, უკრაინაში წინ წავწიო ინტერპარტიული დიალოგი, წვლილი შევიტანო ქვეყანაში პოლიტიკური და პარტიული სისტემების გაუმჯობესებაში. ვისურვებდი, დავხმარებოდი უკრაინელ პოლიტიკოსებს პარტიული დემოკრატიის პრაქტიკის დანერგვაში.



კატერინა პესოცკა

უკრაინის პროგრამის აღმასრულებელი ასისტენტი.

გამოცდილება:

მარჩენკო დანევიჩის საადვოკატო ფირმა, ფილიპ მორისის სახაზინოს აღმასრულებელი კორპორაციული საქმიანობაში.

განათლება:

მაგისტრი სამართალმცოდნეობაში, კიევ მოჰილიას აკადემია; აშუამად იცავს ფილოსოფიის დოქტორის ხარისხს ამავე უნივერსიტეტში.

ინტერესები:

კონსტიტუციური სამართალი, პოლიტიკა, პოლიტიკური პარტიების რეგულაციები.



შორენა ჯოელი
ფინანსური ოფიცერი.

გამოცდილება:

ფინანსურ-ადმინისტრაციული ოფიცერი, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია. საქართველოს ოფისის კოორდინატორი IREX/IATP-ის ოფისში. ტრენინგების პროგრამის ოფიცერი, IREX-ი, USAID-ის მიერ დაფინანსებული მედიაინოვაციების პროგრამა.

განათლება:

ბიზნესის ადმინისტრირება, კვიპროსის უნივერსიტეტი. აღმოსავლეთმცოდნეობის მაგისტრი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ინტერესები:

ფინანსები და ადმინისტრირება.



ლადო ჩომახიძე
ადმინისტრაციული ოფიცერი.

გამოცდილება:

პროექტის ადმინისტრაციული მენეჯერი, „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“. ადმინისტრაციული და ლოგისტიკის მენეჯერი, „საჯარო ადმინისტრაციის რეფორმირების“ პროგრამა.

განათლება:

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. ფლობს თავისუფალი უნივერსიტეტის „სერტიფიცირებული ადმინისტრაციული მენეჯერის“ და თბილისის მართვის აკადემიის „პროექტების მართვის სპეციალისტის“ სერტიფიკატებს.

ინტერესები:

პროექტების მენეჯმენტი, დემოკრატიული განვითარება.



ნიკოლოზ შარვაშიძე
თელავის დემოკრატიის სკოლის კოორდინატორი, კახეთის რეგიონი.

გამოცდილება:

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კახეთის რეგიონული ოფისისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის თანამშრომელი. სხვადასხვა დროს მუშაობდა სამთავრობო და ადგილობრივი თვითმმართველობის სექტორებში, მონაწილეობდა სხვადასხვა საერთაშორისო პროექტის განხორციელებაში.

განათლება:

დიპლომატიისა და საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიის მაგისტრი, ჰუმანიტარული მეცნიერებების, დიპლომატიისა და მსოფლიო ისტორიის ბაკალავრი, თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ინტერესები:

საერთაშორისო ურთიერთობები, ევროპის სამეზობლო პოლიტიკა და ასოცირების პერსპექტივები, ეროვნული უსაფრთხოება, დემოკრატიული განვითარება და ადგილობრივი თვითმმართველობა.



ბაბა ჭიპაშვილი
გორის დემოკრატიის სკოლის კოორდინატორი, შიდა ქართლის რეგიონი.

გამოცდილება:

სოციალური და ჰუმანიტარული მიმართულების პროექტების კოორდინატორი, საქველმოქმედო-ჰუმანიტარული ცენტრი „აფხაზეთი“; სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა საჯარო სტრუქტურებში, იყო სოციალური მომსახურების სააგენტოს რეგიონული სამსახურის უფროსი და გორის რაიონის გამგეობის სოციალურ საკითხთა განყოფილების ხელმძღვანელი.

განათლება:

სახელმწიფო მმართველობის მაგისტრი, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი; ისტორია-ფილოლოგიის მაგისტრი, ცხინვალის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი.

ინტერესები:

სამოქალაქო განათლება, საჯარო მმართველობის პოლიტიკა, კონფლიქტების მართვა.



ანა შალიკიანი
დემოკრატიის სკოლის კოორდინატორი, იმერეთის რეგიონი.

გამოცდილება:

წამყვანი სპეციალისტი, ქუთაისის მერია; საგანმანათლებლო პროექტის მობილიზატორი BP-სა და საქართველოს სკაუტების საგანმანათლებლო პროგრამაში; იმერეთის სკაუტების დამფუძნებელი; სამოქალაქო განათლების რამდენიმე პროექტის თანაავტორი.

განათლება:

მაგისტრის ხარისხი საჯარო სამართალში.

ინტერესები:

ადგილობრივი თვითმმართველობისა და სამოქალაქო განათლების საკითხები, სოციალური მედია და სკაუტინგი.



თამარ ამიშვილი
ბათუმის დემოკრატიის სკოლის კოორდინატორი, აჭარის რეგიონი.

გამოცდილება:

პროექტების კოორდინატორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტი“; პროექტების კოორდინატორი, მედიამონიტორი, „საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტი“; რედაქტორი, adjaranews; კორესპონდენტი, გაზეთი „ბათუმელები“.

განათლება:

ჟურნალისტიკასა და მედია-მენეჯმენტის მაგისტრი, GIPA.

ინტერესები:

ახალი ამბები, მედიათეორიები, საზოგადოებრივი აზრისა და კონტენტანალიზური კვლევები.

პირველად

2016 NIMD-ისთვის, ერთდროულად, ინსტიტუციური კონსოლიდაციის, რეგიონული საქმიანობის გაფართოებისა და პოლიტიკურ კომუნიკაციაში ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვის წელი იყო.

NIMD შეუდგა თავისი მისიის გაფართოებას უკრაინაში და წამოიწყო დემოკრატიზაციის მხარდაჭერი პროექტები კიევში.

საქართველოში, სომხეთში, აზერბაიჯანსა და უკრაინაში NIMD-მა დაიწყო დისკუსიებისა და ტრენინგების ციკლი თემებზე – ანტიდემოკრატიული პროპაგანდა და მისი დეკონსტრუქციის გზები.

გაფართოვდა სამხრეთ კავკასიისა და უკრაინის ახალგაზრდა პოლიტიკოსების ფორუმი. 2016 წელს ფორუმში მონაწილეობა 60-მა დელეგატმა მიიღო. საპატიო სტუმრებს შორის იყო ბრიტანეთის კანცლერი და ყოფილი საგარეო საქმეთა მდივანი ფილიპ ჰამონდი; ასევე ჰოლანდიის ყოფილი თავდაცვის მინისტრი აიმერტ ვან მიდელკოოპი.

2016 წელს

დემოკრატიის სკოლების პროგრამას ახალი – ეკონომიკური განვითარებისა და საერთაშორისო უსაფრთხოების საკითხები დაემატა.

NIMD-ის წახალისებით, პოლიტიკურმა პარტიებმა საქართველოში წინასაარჩევნო პროგრამებში შეიტანეს თავიანთი ხედვა ქალთა მონაწილეობაზე პოლიტიკაში, გარემოს დაბინძურებასა და საგზაო მოძრაობაზე.

ეროვნული უმცირესობების ახალგაზრდა წარმომადგენლებს ერთთვიანი სტაჟირების შესაძლებლობა მისცა პოლიტიკური პარტიების სათავე ოფისებში.

ონლაინპლატფორმა partiebi.ge ინტერაქტიული, სოციალურ მედიასთან ინტეგრირებული ანალიტიკური რესურსი გახდა.

პრიორიტეტულ მიმართულებად იქცა ახალი ტექნოლოგიების, მათ შორის, მობილური აპლიკაციების გამოყენების სწავლება და პოპულარიზაცია.

სამოქალაქო აქტივისტებისთვის, საქართველოს 4 რეგიონიდან, ჩატარდა პროგრამული ენის სწავლების ტრენინგი და დემოკრატიის ჰაკათონი.

NIMD-ის დემოკრატიის განათლების პროგრამას შეუერთდნენ ახალი მსმენელები, ახალი პარტნიორები და ტრენერები.



საპარლამენტო არჩევნები 2016 და პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო პროგრამები

ტრადიციულად, NIMD პოლიტიკურ პარტიებს მათი წინასაარჩევნო პროგრამების განვითარებასა და დახვეწაში ეხმარება. 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, NIMD-ის ორგანიზატორებით, ძირითადად პოლიტიკურმა პარტიებმა, ფუნდამენტურ საკითხებთან ერთად, პროგრამებში თავიანთი პოზიცია ისეთ თემებზე გამოხატეს, რომელიც ამომრჩევლების ყოველდღიურ ცხოვრებას ეხება, პოლიტიკოსები კი იშვიათად საუბრობენ მათზე.

მგავს თემებზე კონკრეტული პოლიტიკური ხედვების ფორმირების წახალისების მიზნით, NIMD-მა შეიმუშავა და შექმნა სპეციალური კითხვარი, რომელზე პასუხის გაცემაც 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ყველა დაინტერესებულ სუბიექტს შესთავაზა.

- შესაძლო ცვლილებები საქართველოს კონსტიტუციაში;
- სასამართლოს დამოუკიდებლობა და ამ ინსტიტუტის მიმართ ნდობის ამაღლება;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის გარანტიები;
- უმუშევრობის დაძლევა და ლარის კურის ვარდნა;
- უმცირესობების დაცვა და მათი ინტეგრაცია;
- ბავშვთა უფლებების დაცვა;
- საგარეო პოლიტიკისა და თავდაცვის საკითხები;
- საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის;
- ეკოლოგიურად ჭანსალი და უსაფრთხო გარემოს შექმნა.

NIMD-მა გამოკვეთა ეს და სხვა, აქტუალური საკითხები, რომლებზეც თავიანთი პოზიციის გამოხატვით, დაინტერესებულმა პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა, ერთი მხრივ, მოახერხეს საკუთარი პროგრამის დახვეწა, ხოლო მეორე მხრივ, გაზარდეს ანგარიშვალდებულება ამომრჩევლის წინაშე. საქართველოს პოლიტიკური პარტიების წინასაარჩევნო შეხედულებები ვებგვერდ www.partyebi.ge-ზე გამოქვეყნდა.

შევეცადეთ, პარტიებს სპეციფიკური, კონკრეტული ხედვები შეეძინათ ისეთ საკითხებზე, როგორცაა საგზაო მოძრაობა ქალაქში, გარემოს დაბინძურება, ქალთა მონაწილეობა პოლიტიკაში.

ლევან ცუცქერიძე

კითხვები 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტებისთვის

აპირებთ თუ არა მნიშვნელოვანი ცვლილების ინიცირებას საქართველოს კონსტიტუციაში?

რა პოლიტიკის გატარებას აპირებთ, რომ საქართველოში ყველა ბავშვის უფლება იყოს დაცული?

რა პოლიტიკას განახორციელებთ სასამართლოების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად?

გთხოვთ, დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები, რომლებიც მიმართულია ეკოლოგიურად უფრო ჭანსალი საცხოვრებელი გარემოს შექმნისაკენ.

რა პოლიტიკას განახორციელებთ ადამიანთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის განსამტკიცებლად?

რა ნაბიჯებს გადადგამთ უმუშევრობის დასაძლევად?

გთხოვთ, პირობითად გაანანილოთ საქართველოს ბიუჯეტი თქვენი პოლიტიკის პრიორიტეტების მიხედვით.

აპირებთ თუ არა სპეციალური პოლიტიკის გატარებას საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის?

როგორი საარჩევნო სისტემა უნდა არსებობდეს საქართველოში?

რომელ ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?

www.partiebi.ge

უნიკალური ონლაინრესურსია, რომელზეც 2012 წლიდან მოყოლებული, საქართველოში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური ორგანიზაციების საარჩევნო პროგრამები, ქართულთან ერთად, სომხურ, აზერბაიჯანულ და ინგლისურ ენებზეა განთავსებული.



პლატფორმა ამომრჩეველს ერთდროულად სამი პოლიტიკური ორგანიზაციის ხედვების შედარების შესაძლებლობას აძლევს. ასევე, მარტივად შეგიძლიათ ნახოთ, თუ როგორ შეიცვალა დროსთან ერთად პოლიტიკური პარტიების პროგრამები და პრიორიტეტები.

პროექტი საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩომ დააფინანსა და მას ორი მთავარი ამოცანა ჰქონდა: საპარლამენტო არჩევნების წელს ხელი შეეწყო 1) პარტიებისთვის – პოლიტიკური წინადადებების ფორმირებაში და 2) ამომრჩევლებისთვის – ამ წინადადებების გაცნობაში.

NIMD-მა პოლიტიკურ პარტიებს შესთავაზა, ლაკონიური პასუხები გაეცათ აქტუალურ 29 საკითხზე. პარტიებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ თემებზე თანაბარი მოცულობის პასუხის გაცემის საშუალება ჰქონდათ. www.partiebi.ge თავისი მიზნებით და სტრუქტურით, ერთი მხრივ, ზრდის პარტიების ანგარიშვალდებულებას, მეორე მხრივ კი, თავს უყრის ღირებულ ინფორმაციას. რესურსი არასამთავრობო ორგანიზაციებს, მედიას, კონკურენტ პარტიებს აძლევს საშუალებას, იოლად შეადარონ, თუ რას ჰპირდებოდა ესა თუ ის პარტია საზოგადოებას ხელისუფლებაში მოსვლამდე და რა გააკეთა ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ.

გარდა იმისა, რომ www.partiebi.ge თავს უყრის პოლიტიკური პარტიების ხედვებს, საიტის ონლაინპლიკაციები საშუალებას გაძლევთ, ინფორმაცია ადვილად გაავრცელოთ სოციალურ მედიაში და იმსჯელოთ თქვენთვის საინტერესო იმ საკითხებზე, რომელთაც ამ პლატფორმაზე გაეცანით. 2016 წელს ცენტრალურ საარჩევნო კომისიასა და უსინათლოთა კავშირთან თანამშრომლობით, NIMD-მა ვებგვერდზე წინასაარჩევნო პროგრამების აუდიოფაილებიც განათავსა.

ლევან ცუცქერიძე

სხვადასხვა გარემო პირობები იწვევს ცვლილებებს პარტიების ხედვებში და სწორედ ამ ევოლუციის დანახვა შესაძლებელი ამ ვებგვერდის მეშვეობით.

თამარ კორძია, რესპუბლიკური პარტია

ეს პლატფორმა მნიშვნელოვანია, რადგან ამომრჩეველს შეუძლია, ერთ სივრცეში გაეცნოს პოლიტიკური პარტიების საქმიანობას, წინასაარჩევნო კამპანიას, პროგრამას. ამავე დროს, ის ჩვენც [პოლიტიკურ პარტიებს] გვიწყობს ხელს.

ბაკურ კვაშილაძე, GIPA-ს სამართლისა და პოლიტიკის სკოლის დეკანი

NIMD-ის ხელშეწყობით საქართველოს პოლიტიკური კულტურა ხდება უფრო განვითარებული, პასუხისმგებლიანი და ანგარიშვალდებული.

ეროვნული უმცირესობები კოლიტიკურ ცხოვრებაში

2016 წელს NIMD-მა დაასრულდა პროექტი – „ეროვნული უმცირესობების ჩართულობის გაძლიერება საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში“. ამ თემაზე მუშაობა NIMD-ის გუნდმა 2014 წელს ეუთოს ეროვნულ უმცირესობათა საკითხების უმაღლეს კომისართან ერთად დაიწყო. პრობლემა ცხადად და მკაფიოდ განისაზღვრა – ერთმანეთს არ შეესაბამება ეროვნული უმცირესობების წილი და მათი ჩართულობის ხარისხი ქვეყნის ცხოვრებაში. მათ შორის, პოლიტიკაში მონაწილეობა ყველაზე დაბალია სხვა სფეროებთან შედარებით.

ამ დისპროპორციის შესაცვლელად NIMD-მა ეროვნული უმცირესობების პოლიტიკურ ცხოვრებაში ინტეგრაციის ორწლიანი პროექტი სამ ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას დააყრდნო:

მრავალპარტიული ფორმატი

NIMD-ის ხელშეწყობით 8 ძირითადმა პარტიამ, სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, ინტეგრაციის საკითხებსა და სტრატეგიაზე დაიწყო ფიქრი და მუშაობა.

ინდივიდუალური ფორმატი

ექსპერტებთან ერთად NIMD-მა დაიწყო თანამშრომლობა უშუალოდ პოლიტიკურ პარტიებთან და მათ ლიდერებთან. ძირითადი ამოცანა იყო, პარტიების სამოქმედო სტრატეგიაში ასახულიყო პოლიტიკაში უმცირესობების ინტეგრაციის სურვილი და კონკრეტული გეგმები.

შეხვედრები რეგიონებში

პოლიტიკური პარტიების უშუალო კომუნიკაცია ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებთან, პროექტის დასაწყისში და დასასრულს. 2016 წლის ზაფხულში პოლიტიკური პარტიები დაბრუნდნენ ორივე რეგიონში და წარადგინეს კონკრეტული ხედვები ეროვნული უმცირესობების ინტეგრაციის კუთხით.

ახალგაზრდების სტაჟირების პროგრამა

პოლიტიკურ პარტიებთან თანამშრომლობის პარალელურად, NIMD-მა სპეციალური პროგრამა შეადგინა ეროვნული უმცირესობების ახალგაზრდა წარმომადგენლებისთვის. 8 სტაჟირება სამცხე-ჯავახეთიდან და ქვემო ქართლიდან ერთდროულად სტაჟირება გაიარა ძირითადი პოლიტიკური პარტიების ცენტრალურ ოფისებში, თბილისში. პირველი სამუშაო დღისთვის NIMD-მა მათ საორიენტაციო ტრენინგიც ჩაუტარა; ყველა მონაწილე სტაჟირების დასასრულს ქუთაისში პარლამენტის პლენარულ სხდომას დაესწრო. სერტიფიკატები ახალგაზრდებს იმ დროს გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა, ახლა კი უკვე პრემიერ-დენტმა, ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერმა გადასცა.

კოლიტიკის ნარკვევები და გადაცემების ციკლი საზოგადოებრივ მაუწყებელზე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ექსპერტებს, აკადემიური წრეების წარმომადგენლებსა და ანალიტიკოსებს შორის კონკურსის საფუძველზე NIMD-მა შეარჩია ოთხი ავტორი, რომელთაც შესთავაზა პუბლიკაციების შექმნა შემდეგ თემებზე:

- საარჩევნო სისტემები და ეროვნული უმცირესობები;
- ეროვნულ უმცირესობათა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;
- ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ქალების მონაწილეობა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ეროვნული უმცირესობებისთვის საქართველოში.

ნაშრომები ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ და ინგლისურ ენებზე ფართო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი 2017 წლიდან იქნება. გარდა ამისა, NIMD-მა, საზოგადოებრივ მაუწყებელთან თანამშრომლობით, შექმნა სატელევიზიო დისკუსიების ციკლი, რომელიც მეორე არხის ეთერით გადაიცა.

2016 წელს პოლიტიკური პარტიების, ეროვნული უმცირესობების, რეგიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და სხვა კომპეტენტური სტუმრების მონაწილეობით საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში შედგა ჯამში ოთხი დისკუსია, რომელიც უმცირესობების პოლიტიკაში ინტეგრირების საკითხებს მიეძღვნა. ოთხივე გადაცემა ითარგმნა სომხურად და აზერბაიჯანულად, დისკუსიების ჩანაწერები გადაიცა ახალციხის და მარნეულის რეგიონული ტელევიზიებითაც.

კოლიტიკური პარტიების ცენტრალურ ოფისში სტაჟირება ორმხრივად საინტეგრაციო იდეა აღმოჩნდა. წინასწარჩვენო პერიოდში ახალგაზრდები პარტიის ლიდერებს რეგიონიდან სასარგებლო და ლირაპულ ინფორმაციას აწვდიდნენ, თავად სტაჟირებისთვის კი, დიდი მოტივაცია იყო ძირითად პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა.

სალომე მუხურაძე, პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერის პროგრამის ხელმძღვანელი



NIMD-ის მისია უკრაინაში და უკრაინული კონტექსტი

2016 წელს NIMD-ისთვის, ერთი მხრივ, პრიორიტეტული იყო ინსტიტუციური კონსოლიდაცია და, მეორე მხრივ, რეგიონული საქმიანობის გაფართოება, მათ შორის და განსაკუთრებით – უკრაინაში. სხვა ქვეყნების მსგავსად, უკრაინაშიც NIMD-ის სტრატეგიული ამოცანაა იმ ცვლილებების მხარდაჭერა, რომლებიც ხელს შეუწყობს პოლიტიკური პარტიების დემოკრატიზაციას და განვითარებას, პოლიტიკური სისტემის გაუმჯობესებას და დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის განმტკიცებას. ეს ძალისხმევა უკრაინაშიც შემდეგ ძირითად სფეროებზე გადის:

- პოლიტიკური პარტიების განვითარების ხელშეწყობა;
- პოლიტიკური კონსოლიდაციისთვის საუკეთესო სტრატეგიის დამუშავება;
- ქალებისა და უმცირესობების მონაწილეობის გაძლიერება უკრაინის პოლიტიკასა და პოლიტიკურ პარტიებში;
- რეგიონული აქტივისტების პოტენციალის გაძლიერება;
- ტექნოლოგიური ინოვაციების დანერგვა პოლიტიკურ ცხოვრებაში;
- დემოკრატიის შესახებ პუბლიკაციების გამოცემა უკრაინულ ენაზე.

2016 წელს NIMD-მა მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართა კიევში, ლვოვსა და ოდესაში. აღმოსავლეთევროპული სამეზობლოს ოფისის დელეგაციამ კონსულტაციები გამართა როგორც მაღალი რანგის პოლიტიკოსებთან და პოლიტიკურ პარტიებთან, ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და უკრაინის ორი დიდი უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან. მიზანი, ერთი მხრივ, უკრაინაში NIMD-ის მისიის გაფართოების შესაძლებლობების ანალიზი იყო, მეორე მხრივ კი, იმ ცენტრალური პრობლემების იდენტიფიცირება, რომელთა წინაშეც უკრაინული პოლიტიკური პარტიები დგანან.

ამ გზით, ასევე, ტრენინგებისა და სემინარების დახმარებით, NIMD-მა უკრაინაში პოლიტიკური სტრატეგიის ანალიზში სამოქალაქო საზოგადოება ჩართო.

NIMD-ის მისიამ უკრაინაში ორგანიზაციის ყველა ახალი პრიორიტეტი და წამოწყება შეითავსა. მათ შორის, ტექნოლოგიური ინოვაციები, რომლებიც პოლიტიკური ცხოვრების დემოკრატიზაციის თანამედროვე ინსტრუმენტია, მსჯელობის გაფართოება ანტიდემოკრატიულ პროპაგანდასა და საპასუხო ქმედებებზე, ახალი თემების – უსაფრთხოებისა და ეკონომიკური საკითხების შემოტანა, რეგიონული გამოცდილების გაზიარება.

2016 წელს NIMD-ის ხელშეწყობით უკრაინაში დაიწყო დისკუსიების სერია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა:

- უკრაინის პოლიტიკური სისტემის სპეციფიკა;
- პოლიტიკური პარტიებისა და შიდაპარტიული დემოკრატიის პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრის გზების ძებნა;
- პოლიტიკური პარტიების დაფინანსება;
- უკრაინულ პოლიტიკასა და არჩევნებში მონაწილეობის ფინანსური მხარე;
- გენდერული თანასწორობა პოლიტიკაში.

უკრაინული დემოკრატიის მხარდაჭერის კონტექსტში მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ 2016 წელს, მეოთხედ შედგა სამხრეთ ვაკვასიისა და უკრაინის ახალგაზრდა პოლიტიკოსების ფორუმი. ესაა უნიკალური ფორმატი, სადაც ერთმანეთს ხვდებიან ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და უკრაინელი პოლიტიკოსები. ამ დიდ ფორუმზე, რომელიც საქართველოს პარლამენტთან ერთად იმართება, 2016 წელს შთამბეჭდავი დელეგაციები და საპატიო სტუმრები გვყავდა, მათ შორის, მაშინდელი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მდივანი და დღეს უკვე კანცლერი, ფილიპ ჰამონდი.

2016 წელს NIMD-მა მონაწილეობა მიიღო პროექტში, რომელიც უმაღლესი რადის – უკრაინის პარლამენტის ქვევის კოდექსის შექმნას ითვალისწინებს.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გადამწყვეტილება, რომელიც 2016 წელს უკრაინაში NIMD-ის მისიის მუშაობას მოჰყვა, 2017 წელს ლვოვსა და ოდესაში პოლიტიკური სკოლების დაფუძნებაა, რომელთა სასწავლო პროგრამის ფოკუსი უკრაინის სამოქალაქო და პოლიტიკური საზოგადოების ანტიკორუფციული შესაძლებლობების განვითარება იქნება.

უკრაინა ევროპის უდიდესი სახელმწიფოა, რომელიც ახლა დგას სახელმწიფო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ინსტიტუტების მშენებლობის გზაზე. ამ სახელმწიფო დემოკრატიის წარმატებას მხმობა ისტორიული მნიშვნელობა აღმოსავლეთ ევროპისა და ალბათ მთელი კონტინენტისთვის. უკრაინაში განვითარებულ მოვლენაზე დიდწილად არის დამოკიდებული რეგიონული უსაფრთხოება. ამიტომ, NIMD-ს მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ თავისი წვლილი შეიტანოს უკრაინული პოლიტიკური პარტიების და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერებაში.

ლევან ცუცქერიძე

სამხრეთ კავკასიისა და უკრაინის ფორუმი



ამ ინსტიტუტმა ქალიან ლირაგული გამოცდილება მოიხსია, როგორ უნდა იმუშაოს მრავალპარტიულმა სისტემამ და როგორ უნდა ფუნქციონირებდეს საზოგადოების განსხვავებული სოციალური ფენები და კოლიტიკური ჯგუფები ქვეყნის საუკეთესო ინტერესებისთვის. დავით უსუფაშვილი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე (2012-2016)

2016 წელს NIMD-მა მეოთხედ შეკრიბა სამხრეთ კავკასიისა და უკრაინის ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ფორუმი, რომელსაც განსაკუთრებულად შთამბეჭდავი დელეგაციები და საპატიო სტუმრები ჰყავდა.

ორდღიან ღონისძიებაზე დასასწრებად თბილისში 60-მდე მონაწილე ჩამოვიდა, მათ შორის, ნიდერლანდების სხვადასხვა პარტიის ახალგაზრდა პოლიტიკოსებიც.

საპატიო სტუმრებს შორის იყო დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი და დღეს უკვე კანცლერი ფილიპ ჰამონდი. ფორუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღო ნიდერლანდების სამეფოს სენატის ყოფილმა წევრმა და თავდაცვის მინისტრმა აიმერტ ვან მიდელვოკოპმა.

სამხრეთ კავკასიისა და უკრაინის ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ფორუმი, რომელიც საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერითა და მონაწილეობით გაიმართა, საქართველოს პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა გახსნა.



- საარჩევნო სისტემები და საკონსტიტუციო ცვლილებები;
- საარჩევნო ვამპანიის წარმართვა;
- მედიის როლი დემოკრატიულ პროცესებში;
- ქალების მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში;
- ადგილობრივი თვითმმართველობის გაძლიერება.

ამ და სხვა თემებზე მსჯელობდნენ თბილისში ახალგაზრდა პოლიტიკოსები საქართველოდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, უკრაინიდან და ნიდერლანდებიდან.



აიმერტ ვან მიდელვოკოპი



თამარ ბერუჩაშვილი, ლევან ცუცქერიძე, ფილიპ ჰამონდი

თქვენ წარმოადგინეთ იმ თაობას, რომელიც კონფლიქტების ჩრდილქვეშ გაიგარდა და ნაკლებად ახსოვს, რას ნიშნავს მშვიდობიანი ურთიერთობა მეზობლებთან. ახალი ღობეებისა და ბარიერების აღმართვა რეგიონს უკან სწავს. უნდა გაიგარდოს თანაცხოვრების შესაძლებლობა ამ მრავალფეროვან რეგიონში მცხოვრები ადამიანებისთვის და არა პირიქით. ფილიპ ჰამონდი, ბრიტანეთის კანცლერი

ეს ფორუმი აღარ არის ჩვენი პროექტი, ეს არის სამხრეთ კავკასიის და უკრაინის ახალგაზრდა პოლიტიკოსების პროექტი. ჩვენ ვინაჟღერებთ, როგორ უნდა ვიმუშაოთ ერთად და როგორ ვაკეთოთ დემოკრატია უკეთესად. ვფიქრობ, ეს ფორუმი წინა წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად გაიზარდა. გაიზარდა დებატების ხარისხიც. ვხედავ, როგორ ყალიბდება საქმიანი თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდა პოლიტიკოსებს შორის.

ლევან ცუცქერიძე



ფორუმის უნიკალური ფორმატი შესაძლებელს ხდის, შევრიბოს სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანების ახალგაზრდა პოლიტიკოსები მთელი სამხრეთ კავკასიის რეგიონიდან და უკრაინიდან. ეს არის კრიტიკული პლატფორმა პოლიტიკური დებატებისთვის რეგიონის პოლიტიკური ელიტის მომავალ წარმომადგენლებს შორის. 2016 წლის ფორუმს განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა უკრაინული კონტექსტისა და უკრაინაში NIMD-ის მისიის გაფართოების თვალსაზრისით. ფორუმის მხარდამჭერები საქართველოში დიდი ბრიტანეთის და ნიდერლანდების საელჩოები არიან.



სამხრეთ კავკასიის ახალგაზრდა პოლიტიკოსთა ფორუმის კომუნიკა

29 - 30 ივნისი, 2013

ფრაგმენტი

ჩვენ, სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები, ერთობლივი გადაწყვეტილების საფუძველზე შევთანხმდით, გავაკეთოთ შემდეგი განცხადება:

- მივსალმებით რეგიონის სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებს შორის ურთიერთქმედებებისა და დებატების წარმართვის ამ პლატფორმის შექმნას;
- მივსალმებით ამ ფორუმზე ჩვენი ქვეყნების როგორც მმართველი, ასევე (არასაპარლამენტო) ოპოზიციური პარტიების მონაწილეობას, როგორც მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს ჩვენს რეგიონში დემოკრატიზაციის პროცესის გაღრმავების მიმართულებით;
- ვაცხადებთ სრულ მზადყოფნას, განვავრდოთ ერთობლივი მუშაობა ამ ფორუმის ფარგლებში, რათა განვიხილოთ ჩვენს ქვეყანასა და მთლიან რეგიონთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ასპექტები. ამასთანავე, მივსალმებით გულწრფელი დებატებისა და დისკუსიების გამართვის საშუალებას ურთიერთპატივისცემისა და კეთილგანწყობის ატმოსფეროში;
- ვულოცავთ ერთმანეთს საგარეო საქმეთა, პოლიტიკისა და უსაფრთხოების სასიცოცხლო საკითხების განხილვას დადებითი, ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული და წინდახედული ფორმით;
- ჩვენ ვასრულებთ ამ ფორუმს იმ რწმენით, რომ დემოკრატიული საფუძველი წარმოადგენს ერთადერთ სიცოცხლისუნარიან და ხანგრძლივ საფუძველს ჩვენს ქვეყანასა და რეგიონში პოლიტიკური საქმიანობის განსახორციელებლად და აქვე ვაცხადებთ მზადყოფნას, ვიღვანოთ ჩვენს ქვეყნებსა და ჩვენი პოლიტიკური ორგანიზაციების ფარგლებში უფრო მდგრადი და ყოვლისმომცველი დემოკრატიული პროცესების დამკვიდრებისათვის.



ეს არის ადგილი, სადაც ტოლერანტული ადამიანები ვიწყებთ არა მხოლოდ თანამშრომლობას, არამედ მეგობრობასაც. ამ სკოლის დამთავრების შემდეგ მე, როგორც ეთნიკური და რელიგიური უმცირესობის წარმომადგენელი, უფრო იმედიანად ვუყურებ უმცირესობების ინტეგრაციის საკითხს. შემიძლია ვითქვას უფრო მეტიც: ინტეგრაცია იწყება NIMD-ში.

ალი ბადიროვი,
აზერბაიჯანელ იურისტთა ასოციაციის თავმჯდომარე, გორის დემოკრატიის სკოლა

დემოკრატიის სკოლები საქართველოში

2016 წელს 80-მა ადამიანმა ჩააბარა და ისწავლა NIMD-ის დემოკრატიის სკოლებში, საქართველოს ოთხ ქალაქში: ბათუმში, ქუთაისში, გორსა და თელავში.

დემოკრატიის სკოლები ინტენსიური, არაფორმალური საგანმანათლებლო პროგრამაა, ადგილობრივი თვითმმართველობის, არასამთავრობო სექტორის, მედიის, პოლიტიკური პარტიების, აკადემიური წრეების წარმომადგენლების, წარმატებული სტუდენტებისა და თანამედროვე დემოკრატიის საკითხებით დაინტერესებული აქტიური მოქალაქეებისთვის.

დემოკრატიის სკოლების მისიაა, ხარისხიანი განათლების და დამატებითი რესურსებისადმი წვდომის გაიოლებით ხელი შეუწყოს აქტიურ მოქალაქეებს საკუთარი იდეებისა და ამოცანების განხორციელებაში და ამ გზით დააჩქაროს დემოკრატიული საზოგადოების განვითარება საქართველოში.

NIMD ეყრდნობა სხვადასხვა ქვეყნის გამოცდილებას დემოკრატიის განათლების სფეროში და ადგილობრივი ექს-

პერტების ცოდნას, აქტიური მოქალაქეებისათვის ეფექტიანი საგანმანათლებლო პლატფორმის შესაქმნელად.

პროგრამის მონაწილეები სწავლობენ დემოკრატიის ძირითად კონცეფციებს, იღრმავებენ ანალიტიკურ შესაძლებლობებს და ეუფლებიან იმ პრაქტიკულ უნარებს, რომლებიც მათ საზოგადოების ეფექტიან ცვლილებებში დაეხმარება.

დემოკრატიის სკოლების პროგრამა 4 ძირითად მოდულს ფარავს:

- 1. უნარები:** დემოკრატიის ძირითადი პრინციპები, კომუნიკაცია, პროფესიული წერა, საჯარო დებატები, ინტერნეტის გამოყენება;
- 2. დემოკრატიული საზოგადოება:** მოქალაქეობა, სამოქალაქო საზოგადოება, ერი, ნაციონალიზმი და უმცირესობები, კანონის უზენაესობა, პოლიტიკური და სოციალური უფლებები, რელიგია და დემოკრატია, მედია, გენდერი;
- 3. დემოკრატიული მმართველობა:** კონსტიტუციონალიზმი და სახელმწიფო მოდულები, პოლიტიკური იდეოლოგიები, პოლიტიკური პარტიები, საარჩევნო სისტემები, ადგილობრივი თვითმმართველობა, განვითარების საკითხები, დემოკრატიზაციის საერთაშორისო კონტექსტი;
- 4. მონაწილეობა და ლიდერობა:** დემოკრატიული მონაწილეობის მექანიზმები, ლიდერობა, ამომრჩევლის უფლებები და პასუხისმგებლობები, ადვოკატირება, სამოქალაქო პროტესტი, ბიუჯეტირება, პროექტების მომზადება და მართვა, მონიტორინგი.

2016 წელს NIMD-ის დემოკრატიის სკოლების 5-თვიან პროგრამას ახალი საგნები:

- ეროვნული უმცირესობები და მათი მდგომარეობა საქართველოში;
- სოციალური უფლებები და მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობა საქართველოში;
- რა არის განვითარება – ძირითადი თეორიები და მაგალითები;
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პოლიტიკა რეტროსპექტივაში

შესაბამისად, ახალი ლექტორებიც შეემატა.

უნივერსიტეტი დიდი ხნის წინ დავამთავრე და მენატრებოდა არაერთფეროვანი და პროგრესული ნააზრების მოსმენა. დემოკრატიის სკოლაში სწორედ ეს დამხვდა. აქ სწავლის დროს ჩამოვიმოსხე დიდი რაოდენობის გადაფასება. სკოლაში მიღებული ცოდნა ბევრჯერ გამომაღმა ჩემს პროფესიაში, გააკეთილშობილეს ჩატარებისას, ბავშვებთან ურთიერთობაში.

სოფო ხვადაგიანი,
პედაგოგი, ქუთაისის დემოკრატიის სკოლა

დემოკრატიის სკოლა – ესაა სივრცე, სადაც წლების განმავლობაში დაგროვილ ცოდნას მიმართულუბა მივიცი და ვისწავლუ, როგორ უნდა ვიარო მიზნისკენ.

ელენე მახათელაშვილი,
ჟურნალისტი, თელავის დემოკრატიის სკოლა



NIMD-ის სკოლაში სწავლის შედეგად გასულმა პირებმა ინფორმაციას სხვადასხვა თემაზე; ვაკვირები ქალაქის გაწვანებას, ბათუმში მიმდინარე მშენებლობებს და სხვა მნიშვნელოვან დეტალებს, რასაც მანამდე ყურადღებას არ ვაქცევდი. თითოეული ლექსის შემდეგ ვგრძნობდი, რომ განილავით გავი ვიცოდი, ვიდრე მანამდე და ყოველ ჯერზე მქონდა სურვილი, ეს ცოდნა და უნარები სამოქალაქო აქტივიზმში გამოვიყენებინა.

ბეჭა ესაძე,
ტურთვერატორი, ბათუმის დემოკრატიის სკოლა

სასწავლო პროგრამის გარდა, დემოკრატიის სკოლა ერთგვარი სამოქალაქო კლუბია, რომლის კურსდამთავრებულებსაც NIMD აძლევს საშუალებას, მონაწილეობა მიიღონ მის მცირე გრანტების კონკურსში, ერთობლივ კონფერენციებსა თუ სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებში.

სკოლის კურსდამთავრებულები NIMD-ის კურსდამთავრებულთა ქსელში წევრიანდებიან. ეს მზარდი გაერთიანებაა, რომელიც ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე საზოგადოების ინფორმირების, ადვოკატირებისა და გაერთიანებული ძალისხმევის გზით საზოგადოებრივი მნიშვნელობის პრაქტიკულ პროექტებზე მუშაობს.

2016 წლისთვის NIMD-ის დემოკრატიის სკოლების პროგრამას ხუთწლიანი გამოცდილება დაუგროვდა. მისი პილოტური პროექტი ჯერ კიდევ 2011 წელს თელავიდან დაიწყო. მალევე NIMD-მა პროგრამის მასშტაბი გაზარდა ქუთაისზე, გორსა და ბათუმზე. დღეს კი, დემოკრატიის სკოლების იდეას, როგორც ერთ-ერთ ყველაზე წარმატებულ ინიციატივას, უკარაინაშიც იწყებს.

NIMD დემოკრატიის სკოლებში ახალი ნაკადის მიღებას 2017 წლის ივლისში გამოაცხადებს. დაინტერესებულმა პირებმა ინფორმაციისა და სიახლეებისთვის მიაკითხეთ დემოკრატიის სკოლების facebook-ის გვერდს – NIMD Democracy School.

პოლიტიკური ინოვაციები და NIMD-ის დემოკრატიის სკოლის შესახებ

2016 წელს NIMD-მა სხვადასხვა რეგიონის პოლიტიკური სკოლის კურსდამთავრებულებისთვის პირველად ჩაატარა ტრენინგი პროგრამირებაში. ერთი კვირის განმავლობაში, ქუთაისში, 20-მდე მსმენელმა: ჟურნალისტებმა, არასამთავრობო ორგანიზაციების, პოლიტიკური პარტიებისა და თვითმმართველობის წარმომადგენლებმა პროგრამირების საბაზისო უნარ-ჩვევები შეიტვისეს და ტექნოლოგიური ინოვაციების კონცეპტუალური გამოყენება ისწავლეს.

ინტენსიური ტრენინგი, რომელიც ანდროიდის მობილური ტელეფონებისთვის პროგრამული და ოპერაციული სისტემების შექმნას, ლოგიკურ და ინოვაციურ აზროვნებას დაეთმო, 48-საათიანი დემოკრატიის სკოლით დასრულდა. ჯგუფებად დაყოფილმა მონაწილეებმა სხვადასხვა, რეალურად აქტუალურ პრობლემას ტექნოლოგიური გადაწყვეტა მოუძებნეს და შესაბამისი მობილური აპლიკაციების პროტოტიპი შექმნეს.

დემოკრატიის სკოლით, რომელიც პოლიტიკურ კომუნიკაციაში ახალი ტექნოლოგიების შემოტანას ისახავს მიზნად, პირდაპირ უსახუბრებს NIMD-ის მისიასა და იმ ღირებულებებს, რაზეც ეს ორგანიზაცია დგას.



2016 წელს NIMD-მა დაიწყო ინვესტირება ისეთ სფეროში, რომელზეც დღეს ყველაზე მეტად არის დამოკიდებული პოლიტიკური ინოვაციები და ამ გზით დემოკრატიის სკოლის ხელშეწყობა.

ჩვენ გვჯეროდა, რომ NIMD-ის კურსდამთავრებულებს თავად შეეძლოთ იმ მობილური აპლიკაციების შექმნა, რომელიც მათ ყოველდღიურ მუშაობაში გამოადგმოდათ.

მარიამ ჩიხლაძე,
დემოკრატიის განათლების პროგრამის ხელმძღვანელი

იმან, რაც ვინც ვწავლით, მოლოდინს გადააჭარბა. უსაზღვრო შესაძლებლობებთან გვაქვს საქმე. ცხადი გახდა, რომ ჩვენ შეგვიძლია გავრი, ოცნებად მიჩნეული იდეის რეალურად განხორციელება.

დათო ღონდაძე,
თელავის დემოკრატიის სკოლა



პოლიტიკური პარტიების ვიზიტი დემოკრატიის სკოლებში

მნიშვნელოვანია, რომ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და იდეოლოგიის ძალებს მოვუსმინეთ. ასე უკეთეს არჩევანს გავაკეთებთ.

მაია ფურცხვანიძე,
თელავის დემოკრატიის სკოლის კურსდამთავრებული

2016 წელს, საპარლამენტო არჩევნების წინ, NIMD-მა ყველა პოლიტიკური პარტიის ლიდერი დემოკრატიის სკოლების კურსდამთავრებულებთან შეხვედრაზე მიიწვია. ამ შეხვედრის მიზანი, თელავის, გორის, ქუთაისისა და ბათუმის სამოქალაქო საზოგადოების აქტიურ წარმომადგენლებსა და ძირითად პოლიტიკურ აქტორებს შორის თემატური დისკუსიის წარმართვა იყო.

პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა მსმენელებს პარტიების ხედვები და წინასაარჩევნო პროგრამები გააცნეს ისეთი მნიშვნელოვანი გამონაკვეთების გადასატრელად, როგორცაა: ეკონომიკური ზრდის დაბალი ტემპი, უმუშევრობა/სიღარიბე, ეროვნული ვალუტის გაუფასურება, საგარეო-პოლიტიკური გამონაკვეთები, უმცირესობების უფლებრივი მდგომარეობა, განათლების სისტემური პრობლემები და გენდერული დისბალანსი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დონეზე. დისკუსია ასევე შეეხო იმ გამონაკვეთებს, რომელსაც პოლიტიკური ორგანიზაციები პოლიტიკის ფორმირებისა თუ შიდაპარტიული სისტემის განვითარების პროცესში აწყდებიან.

შეხვედრების ციკლში ოთხი პოლიტიკური პარტია მონაწილეობდა: ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, თავისუფალი

დემოკრატები, საქართველოს რესპუბლიკური პარტია და ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩი. მათი აუდიტორია კი ოთხივე ქალაქში თავს უყრიდა ადგილობრივი ხელისუფლების, არასამთავრობო სექტორის, აკადემიური წრეების, მედიისა და ბიზნესის წარმომადგენლებს.

დემოკრატიის სკოლის კურსდამთავრებულების შეფასებით, შეხვედრების მთავარი უპირატესობა უშუალოდ პარტიულ ლიდერებთან საუბარი, კომუნიკაციის პირდაპირი, სანდო და ინტერაქტიული ფორმატი იყო.

დისკუსიაში ჩართული კურსდამთავრებულებისათვის საინტერესო აღმოჩნდა პოლიტიკური პარტიების როლის დანახვაც იმ ზოგად პოლიტიკურ კონტექსტში, რომელშიც პარტიებისადმი ნდობა მცირდება და პოლიტიკოსებით იმედგაცრუება იზრდება.

შესაძლებლობა, სხვადასხვა პერსპექტივიდან დაენახათ საზოგადოებრივი პრობლემები, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა თავად პოლიტიკური პარტიებისთვისაც.

საპარლამენტო არჩევნების წინ NIMD ასეთ შეხვედრებს პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურად აქტიურ მოქალაქეებს შორის თანამშრომლობისა და დიალოგის მხარდასაჭერად აწყობს. პოლიტიკურ პარტიებსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის დიალოგი მნიშვნელოვანია დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის გაძლიერებისთვის.

აუდიტორია მოიცავდა სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლებსა თუ მხარდამჭერებს. შესაბამისად, მშობნად შესაძლებლობა, მომესმინა ჩვენს პრობლემებთან დაკავშირებით კითხვები და კრიტიკა სხვადასხვა ხედვის მქონე ადამიანებისგან, რაც ყოველთვის სასარგებლოა.

ზურაბ ჭაფარიძე,
ახალი პოლიტიკური ცენტრი – გირჩის ლიდერი



„იდენტობა“ დემოკრატიის გაერთიანების ბანაკი 2016

ვინ ვართ? რატომ ვართ აქ? და საით მივდივართ?

შეიძლება სწავ-
ლობდა მთელი
ცხოვრების გან-
მავლობაში, მაგ-
რამ ხვდები, რომ
აქ ისმენ რაღაც
ისეთს, რაც მთლი-
ანად ცვლის შენს
მსოფლმხედვე-
ლობას.
ნინო ბერიანიძე,
ბანაკის მონაწილე

2016 წელს, NIMD-ის რიგით მეოთხე დემოკრატიის ბანაკი, რომელიც კახეთში მოეწყო და 50-მდე აქტივისტი შეკრიბა, იდენტობის თემას მიეძღვნა.

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე, საქართველოში მიმდინარეობს დებატები იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს საქართველო, როგორც ერთიანი პოლიტიკური და კულტურული სივრცე.

მნიშვნელოვანია, რომ ეს დისკუსია დაფუძნდეს ისტორიის, პოლიტიკის, კულტურული მემკვიდრეობის და საერთაშორისო მდგომარეობის ცოდნასა და მის რაციონალურ გააზრებას, ქვეყნის ისტორიული და კულტურული ევოლუციის შეფასებას, მის თანამედროვე ინტერპრეტაციას და, შედეგად, საქართველოს დანახვას თანამედროვე, გლობალურ კონტექსტში. ის, თუ რას წარმოადგენს თანამედროვე საქართველო



და როგორია მისი ეთიკური, პოლიტიკური და კულტურული კონტექსტი, მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ქვეყნისათვის საჭირო ზოგადი პოლიტიკური ორიენტაციების მოსანიშნად, არამედ ჩვენი, საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკური თუ კულტურული იდენტობის უკეთ წარმოსადგენად.

დებატები თანამედროვე იდენტობის შესახებ მრავალ დონეზე მიმდინარეობს და ბევრ საკითხს შეეხება. იგი აისახება დისკუსიაში ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური ამოცანების შესახებ, კამათში უმცირესობათა უფლებებისა და როლის, თანასწორობის და თავისუფლების საკითხებზე, გლობალიზაციასა და კულტურული იდენტობის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით.

სტაბილური, დემოკრატიული განვითარების უზრუნველყოფისთვის გადამწყვეტი იქნება, საზოგადოება საქართველოს დემოკრატიულ ტრადიციასთან მოახდენს თვითიდენტიფიცირებას თუ საპირისპირო, ტოტალიტარულ გამოცდილებასთან, რომელიც ასევე წარმოადგენს ქვეყნის ისტორიის მნიშვნელოვან ნაწილს.

იმ სოციალური, კულტურული თუ პოლიტიკური ცვლილებების არსში უკეთ გარკვევა, რომელიც დღეს თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე გვხვდება, მხოლოდ რაციონალური, ღრმა რეფლექსიის შედეგად არის

მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო ლექსია ქართულ ენაზე, როგორც იდენტობის მანიშნებელი ნაწილი. ვარ სხვა ენის, კულტურის მატარებელი და შვეპელი, პარალელური გამომლო ჩემს ვაინახურ ენასთან. დავასკვანი, რომ ქართული ენა არის ჩვენი ყვეანის სიმდიდრე.
შენგელი
ტოხოსაშვილი,
ბანაკის მონაწილე

აკა მორჩილაძემ მცხრამეტე სა-უკუნის ქალაქში შეგვაჩვიტა და იმ ვნახეთ, რომ ქალაქი ეს არის მოძრაობა, გაცვლა, ურთიერთობები. სივრცე არ არის სტატიკური, ის მუდმივად იმეზება და ჩვენი დროის ქალაქის შემწნაც ჩვენივითაა.

ქრისტინე მალაველიძე, ბანაკის მონაწილე

შესაძლებელი, რომელიც ინდივიდუალურ და კოლექტიურ იდენტობასთან დაკავშირებული ნარმოდგენების, ასოციაციებისა და არქეტიპების დეკონსტრუქციისა და გააზრების გზით შეიძლება მოხდეს. რაც უმთავრესია, ცვლილებები უნდა განაღობდეს საზოგადოების როგორც დომინანტური, ისე უმცირესობათა ან მარგინალიზებული ჯგუფების პერსპექტივიდან.

5 დღის განმავლობაში, NIMD-ის დემოკრატიის სკოლის კურსდამთავრებულები და მონვეული ლექტორები მსჯელობდნენ ისეთი ფუნდამენტური კითხვების შესახებ, როგორებიცაა:

- რას ნარმოადგენს თანამედროვე ქართული იდენტობა?
- ვინ არის და რა ამოძრავებს თანამედროვე ქართველს?
- როგორი არის თანამედროვე ქართული იდენტობა?
- შესაძლებელია თუ არა ახალი იდენტობის შექმნა?
- ხდება თუ არა, ან შესაძლებელია თუ არა, ახალი ნაციონალური ნარატივის ფორმირება და თუ ასეა, როგორი უნდა იყოს იგი?
- რა როლი უნდა შეასრულონ ამ მნიშვნელოვან პროცესში დემოკრატიის სკოლების კურსდამთავრებულებმა და როგორ შეუძლიათ ამის უკეთ გაკეთება?



სამუშაო სესიები, დებატები, ლექციები, პოლიტიკის სიმულაცია, ლიტერატურული მარათონი და სხვა მრავალფეროვანი ინტერაქციული კომპონენტები, ბანაკის მონაწილეებისთვის მნიშვნელოვან საკითხზე დაფიქრების, ახალი ცოდნის შექმნისა და კომუნიკაციების გაფართოების წყაროდ იქცა.

ინფორმაცია ბანაკში მონვეული სტუმრებისა და განხილული თემების შესახებ, ასევე ვიდეოლექციები და საინტერესო დისკუსიები შეგიძლიათ ნახოთ მისამართებზე:

democracybootcamp.ge – „იდენტობა“ – დემოკრატიის ზამთრის ბანაკი 2016

2015.democracybootcamp.ge – „ქალაქები“ – დემოკრატიის ზაფხულის ბანაკი 2015

Nimd.ge – დემოკრატიის ბანაკი 2014

უშნიშვნელოვანესი დღეები იყო ჩემს ცხოვრებაში, მე ამ ბანაკში ვივლი ის, რასაც ვეძებდი მთელი ცხოვრება. დავინახე ვინ ვარ მე და ვინ ვარო ჩვენი – სად ვართ და რა გვინდა.

ლიზა ყაზიშვილი, ბანაკის მონაწილე

„დემოკრატიის ლიდერის“ 2016 წლის ჯილდოს მფლობელი



2016 წელს „დემოკრატიის ლიდერის“ ჯილდოს მფლობელი 24 წლის ჟურნალისტი და სამოქალაქო აქტივისტი გვანცა დოლუაშვილი გახდა. NIMD-ის მიერ 3 წლის წინ დაწესებული პრიზი მეორედ გადაეცა ახალგაზრდა ქალს, რომელმაც განსაკუთრებული სიმამაცე, სიმტკიცე და ლიდერის თვისებები გამოავლინა დემოკრატიული ღირებულებების, ადამიანის უფლებებისა და თანასწორობის გაძლიერებისა და პოპულარიზაციის საქმეში. 2016 წლის ლიდერი გორის სათემო რადიო „მოზაიკის“ ღირებულებები, ჟურნალისტიკაში ევროკავშირის პრიზის მფლობელი, ბლოგერი და NIMD-ის გორის დემოკრატიის სკოლის კურსდამთავრებულია.



გვანცა დოლუაშვილი უკვე ხუთი წელია აქტიურად მუშაობს სხვადასხვა მედიასა და მეორე წელია, რაც გორში პირველ სათემო რადიოს ხელმძღვანელობს. რადიო „მოზაიკა“ 2015 წელს დაფუძნდა და მისი თანამშრომლები ძირითადად NIMD-ის გორის დემოკრატიის სკოლის კურსდამთავრებულები არიან. გვანცა რადიოს

გუნდს რიგითი ჟურნალისტის სტატუსით შეუერთდა, ტრენინგის პროცესში გამოჩენილი აქტიურობისა და ლიდერის თვისებების დამსახურებით კი, მისი პირველი ღირებულებები გახდა. 2017 წელს რადიო FM მაუწყებლობის რეგიონში გაფართოებას გეგმავს.

ადგილობრივ საზოგადოებას კარგად ახსოვს გვანცას კრიტიკული საჭარო გამოსვლები როგორც ქალაქის თვითმმართველობის, ასევე ფართო საზოგადოების წინაშე ევროპის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, სატელევიზიო ტოქშოუებში.

2015 წლის 2 ოქტომბერს, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო სტალინის ძეგლის დადგმის საკითხს განიხილა. გვანცა, თანამოაზრეებთან ერთად, საკრებულოს სხდომას ესწრებოდა. ძეგლის დადგმის იდეის ინიციატორებმა მას თავისი პოზიციის მტკიცედ დაცვის, სითამამისა და გაბედულების გამო, შეურაცხყოფაც კი მიაყენეს. სხდომაზე სიტყვით გამოსვლისას გვანცამ თქვა: „დიახ, ეს ქალაქი იყო სტალინის სამშობლო, მაგრამ ჩვენ არ გავჩერებულვართ, წავედით წინ და გორი დემოკრატიული ღირებულებების მქონე ადამიანთა ქალაქად ვაქციეთ, სადაც დიქტატორებს ძველებს აღარ უდგამენ“.

საქართველოს განვითარების გარდამტეხ ეტაპზე, როცა საზოგადოებამ სამომავლო განვითარების ორიენტი უნდა აირჩიოს, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება თითოეული გაბედული დემოკრატიის ხმას და აქტივიზმს, რომელიც ანტიდემოკრატიულ პროპაგანდას დაუპირისპირდება.

„დემოკრატიის ლიდერის“ ჯილდო არის NIMD-ის მხარდაჭერა და აღიარება იმ ღირებული საქმისა, რომელსაც დემოკრატიის აქტივისტები აკეთებენ თავიანთი საზოგადოებისათვის, ქალაქისთვის, ქვეყნისათვის. ყოველწლიური ლიდერის დასახელებით, NIMD სტიმულს აძლევს დემოკრატიის სკოლების კურსდამთავრებულებს, აქტიურად გამოიყენონ იქ შეძენილი ცოდნა და უნარები და ამით თავიანთი წვლილი შეიტანონ საქართველოს დემოკრატიული საფუძვლების განმტკიცებაში.

„დემოკრატიის ლიდერის“ ჯილდოს გადაცემით NIMD მომავალშიც წაახალისებს საქართველოს ქალებსაც და კაცებსაც, რათა მათ მეტი გააკეთონ თავიანთი და სხვების უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად.

ერთადერთი, რაც ნამდვილად ჰიცი, არის ის, რომ თითოეული ჩემი ქმევა, რომელიც სხვადასხვა დროს სხვადასხვა სახის აქტივიზმად ითარგმნება, სწორედ ადამიანების სიყვარულს ეფუძნება... იყო დემოკრატიის ლიდერი, ნიშნავს, ხვდებოდე და გრძნობდეს, რომ რაღაცები ჯერ არ გავიკეთებია. გავიჩინე მაფორიაქებს და მანაღვლიებს, გავრამ ახლა თითქოს კიდევ უფრო გრძნობენია, რომ ჰილანებს უჭირდათ და მათ გვერდით ვერ ვიყავი, ვილანებს ჩაგრაგდენ და ჩემი ხმა მათ მხარდასაჭერად ვერ იყო სათანადოდ ძლიერი და ხმაგაღალი.

„დემოკრატიის ლიდერის“ ჯილდოს მფლობელი, ჟურნალისტი და სამოქალაქო აქტივისტი გვანცა დოლუაშვილი



დემოკრატიის სკოლების კურსდამთავრებულები პოლიტიკაში

ვიბრძობთ ერთ-ნული უმცირესობის მეტი ინტეგრაციისთვის, იმ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რაც სახელმწიფო ინსტიტუტებისა და საკანონმდებლო ორგანო გვაქვს. სხვა შემთხვევაში ვერასოდეს გვექნება სრულფასოვანი დემოკრატიული სახელმწიფო.

ოთარ კვირიკაშვილი, თელავის მაჟორიტარი კანდიდატი

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში სხვადასხვა პარტიის სახელით, მაჟორიტარი დეპუტატის მანდატის მოსაპოვებლად NIMD-ის დემოკრატიის სკოლების 9 კურსდამთავრებულმა იბრძოლა. 2011 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც პირველი დემოკრატიის სკოლა გაიხსნა თელავში, საქართველოში არჩევნები მეოთხედ ჩატარდა. კანდიდატების ნაწილისთვის 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები პირველი იყო, ნაწილს კი მსგავსი გამოცდილება უკვე ჰქონდა.

გაციანით 2016 წლის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები დემოკრატიის სკოლებიდან:

- ვანო გალახვარიძე, ოთარ კვირიკაშვილი, შაქრო ტერტერაშვილი და ლევან ქინქლაძე თელავის დემოკრატიის სკოლიდან;
- ანა ბალიაშვილი – გორიდან;
- ლელა სებუა – ქუთაისის დემოკრატიის სკოლიდან;
- არმან ბახტაძე, მალხაზ ნაკაშიძე და ნინო ტავალაშვილი – ბათუმიდან.

საქართველოს ოთხ ქალაქში, NIMD დემოკრატიის სკოლები პოლიტიკაში ჩართულ და პოლიტიკით დაინტერესებულ მოქალაქეებს უყრის თავს. სასწავლო პროგრამა ისეა აწყობილი, რომ მსმენელებს დემოკრატიული პოლიტიკის, ღია საზოგადოების, ეფექტიანი მმართველობის ძირითადი პრინციპები გააცნოს და ანალიზის, დაგეგმვის, ლიდერობისა და პოლიტიკური გავლენის მოსახდენად აუცილებელი უნარების განვითარებაში დაეხმაროს.

პოლიტიკაში წასვლის მოტივებსა და სამომავლო გეგმებზე საუბრისას, კანდიდატი კურსდამთავრებულები ისეთ თემებს ეხებიან, როგორცაა: უმცირესობების ჩართვა საჯარო ცხოვრებაში; ქალთა წარმომადგენლობის გაზრდა აქტიურ პოლიტიკაში; მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა გადაწყვეტილებების მიღების პროცესში; რეალური თვითმმართველობის განხორციელება ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხების ლოკალურად გადაჭრის პრაქტიკის დამკვიდრებით და სხვა.

პარტიული კუთვნილების მიუხედავად, NIMD-ის კურსდამთავრებულები აღნიშნავენ, რომ აქტიურ პოლიტიკაში წასვლა, ახალი ტიპის პასუხისმგებლობებისა და ინიციატივების აღება, მეტწილად, დემოკრატიის სკოლებში გატარებულ პერიოდს, აქ მიღებულ უნარებს, გამოცდილებასა და დამყარებულ კომუნიკაციას უკავშირდება.

NIMD-ს, რომელიც მრავალპარტიული დემოკრატიის გაძლიერებისა და დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებისთვის მუშაობს, კურსდამთავრებულების აქტიურ პოლიტიკაში წასვლის გადაწყვეტილება მნიშვნელოვნად მიაჩნია.

არასამთავრობო სფეროდან პოლიტიკაში გადასვლის ორი ძირითადი მიზეზი მქონდა – დაბრუნებული გამომცდილება და კითხვები იმის შესახებ, თავად რატომ არ ვცდილობდი ხელისუფლებაში მოსვლას. ალბათ, მართლაც დადგა დრო, უკეთესობისკენ ცვლილებაში თავად მივიღო მონაწილეობა, საკუთარ თავზე ავიღო ინიციატივა.


ნინო ტავალაშვილი, ბათუმის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ყოფილი წევრი

NIMD-ის კურსდამთავრებულთა ქსელის წევრები სწორედ იმ ძალად წარმოგვიდგანია, რომელთა გარეშეც პოლიტიკური პარტიები და, შესაბამისად, მთელი პოლიტიკური სისტემა დემოკრატიული ვერ გახდებოდა.

მარიამ ჩიხლაძე, NIMD-ის დემოკრატიის განათლების პროგრამის ხელმძღვანელი



NIMD-ის რჩეული ბიბლიოთეკა



13 მითი სტალინის შესახებ, 2016

ავტორები: ბონდო კუპატაძე, ლევან ცუცქერიძე

თანამედროვე საქართველოში ისევ თანაარსებობს ორი ტრადიცია: ერთი მხრივ, დემოკრატიული, ევროპული პოლიტიკური ტრადიცია, ხოლო მეორე მხრივ, ტოტალიტარული, პოსტკომუნისტური. სასწორი თავისუფლების სასარგებლოდ საბოლოოდ არ გადახრილა, დემოკრატიისა და თავისუფლებისთვის ბრძოლის ისტორია საქართველოში არ დასრულებულა.

სწორედ ამ ორი ტრადიციის ჭიდილში გამოდის ეს პუბლიკაცია, რომლის მიზანია სტალინის შესახებ იმ მითების გაქარწყლება, რომლებიც ტოტალიტარულმა სახელმწიფომ შექმნა და ჯერ კიდევ ფართოდ არის გავრცელებული საქართველოში. სტალინიზმის პროპაგანდა, მისი იდეებისა და საქმეების განდიდება ხელს უშლის საქართველოს დემოკრატიულ კონსოლიდაციას, აძლიერებს ანტიდემოკრატიულ პოლიტიკურ მოძრაობებს და შეურაცხყოფს იმ ასეულათასობით ქართველის ხსოვნას, რომლებიც სტალინის დიქტატურამ შეინირა.

„13 მითი სტალინის შესახებ“ არქივებსა და ობიექტურ ისტორიულ ინფორმაციას ეყრდნობა. ნარკვევში ახსნილია 13 ყველაზე აქტუალური მითის წარმოშობის წყარო, მიზეზი და ხანგრძლივობის საფუძველი. ტოტალიტარულ რეჟიმებსა და პერსონებს გამუდმებით თან სდევთ მითები, რომელთა ნაწილი თავად რეჟიმის არსებობის პერიოდში იქმნება და სისტემის გაძლიერებას ემსახურება. მეორე ნაწილი კი, იქმნება მოგვიანებით, განსხვავებულ სოციალურ გარემოში, საზოგადოების მოთხოვნის შედეგად ან გამიზნულად, ამ მითების შემქმნელი სახელმწიფო თუ სოციალური ინსტიტუტების მეშვეობით ან მათი დაკვეთით.

იმედი გვაქვს, რომ ეს პუბლიკაცია გამოადგებათ სამოქალაქო აქტივისტებს ტოტალიტარული ტრადიციისა და გაძლიერებული ანტიდემოკრატიული პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლაში.

13 მითი სტალინის შესახებ ბლოგის სახით ნახეთ ამ მისამართზე: 13mythsaboutstalin.ge

„პოლიტიკა და დემოკრატია – აუცილებელი საკითხავი“ ნიგნი 1, 2015

სამუელ ჰანტინგტონის, ფარიდ ზაქარიას, კიმ დე ჯუნის, ისაია ბერლინის, ჯორჯ კენანისა და ფრენსის ფუკუიამას ესეების კრებული.

მთარგმნელები: ლევან ცუცქერიძე, ირაკლი ქობალია, ქეთევან კიკნაველიძე

„აუცილებელი საკითხავი“ გავლენიანი პოლიტიკური სტატიების ქართული თარგმანების სერიაა, რომელსაც NIMD-ის აღმოსავლეთ ევროპის სამეზობლოს ოფისი გამოცემს.


პირველ ნიგნში შეკრებილი ესეების უმრავლესობა სხვადასხვა დროს ავტორიტეტულ ჟურნალ Foreign Affairs-ში და სხვა ტიტულოვან ჟურნალებში დაიბეჭდა. ეს ნაშრომები დღემდე განსაზღვრავენ დებატებს საერთაშორისო პოლიტიკასა და დემოკრატიზაციაზე.

გამოცემაში შესული მასალების უმრავლესობა მანამ-

დე ქართულ ენაზე არ იყო ხელმისაწვდომი. ნიგნზე მუშაობის იდეა დემოკრატიის სკოლების მსმენელებისთვის რამდენიმე საინტერესო სტატიის თარგმნის მოხალისეობრივი ინიციატივით დაიწყო და უფრო მასშტაბურ პროექტად გარდაიქმნა.

„აუცილებელი საკითხავის“ პირველ გამოცემაზე მუშაობისას NIMD-ის ორიენტირი იყო ისეთი მასალების შერჩევა, რომლებიც აქტუალური იქნებოდა კონტინენტსა თუ რეგიონში მიმდინარე პროცესების უფრო საფუძვლიანად გასაზრებლად, ევროპაში ამაჟამად არსებული კრიზისის ასახვად და ახალი მიმართულების საპოვნელად. ნაშრომებში გამოთქმული მოსაზრებები დღესაც ღირებულია თანამედროვე პოლიტიკური დებატების დროს, განსაკუთრებით – ევროპის კონტინენტის უსაფრთხოების კონტექსტში.

ამჟამად მუშაობა მიმდინარეობს ამ სერიის მეორე ტომზე, რომელსაც NIMD ფართო აუდიტორიას 2017 წლის გაზაფხულზე წარუდგენს.



გზამკვლევი – ევროკავშირი და საქართველო, 2014

ავტორები: მიხეილ მირზიაშვილი, ივანე ჩხიკვაძე

ლაკონიური გამოცემა საქართველოსა და ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების შესახებ. გზამკვლევი გაცნობთ საქართველოსა და ევროკავშირის ურთიერთობის ისტორიას, ევროკავშირის ძირითად ინსტიტუტებს, ასევე, გამოცემა პასუხობს საქართველოში გავრცელებულ მითებს ევროკავშირის შესახებ.

NIMD-ის პუბლიკაციებისა და გამოცემების ელექტრონული ვერსიების დიდ ნაწილს იპოვით www.nimd.ge-ს პუბლიკაციების განყოფილებაში.

NIMD-ის პარტნიორები დემოკრატიის მშენებლობაში

ნიდერლანდების მრავალპარტიული დემოკრატიის ინსტიტუტის (NIMD) აღმოსავლეთევროპული სამეზობლოს ოფისი აქტიურად თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციასთან, რომლებიც მას პროგრამების განხორციელების საქმეში სხვადასხვა ტიპის პარტნიორობას უწევენ. NIMD-ის მთავარი დონორი არის ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა სამინისტრო.

პარტნიორები დემოკრატიის მშენებლობაში:

- ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოსა და სომხეთში;
- დიდი ბრიტანეთის საელჩო საქართველოში;
- ეუთოს უმაღლესი კომისარი ეროვნული უმცირესობების საკითხებში;
- ევროპული პარტნიორობა დემოკრატიისათვის;
- კანადის ადგილობრივი ინიციატივების ფონდი;
- ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული ინსტიტუტების ეუთოს ოფისი;
- საქართველოს პარლამენტი;
- საკანონმდებლო ინიციატივების ლაბორატორია (უკრაინა);
- ილკო კუჩერევის სახელობის დემოკრატიული ინიციატივების ფონდი (უკრაინა);



Activity supported by the Canada Fund for Local Initiatives
Activité réalisée avec l'appui du Fonds canadien d'initiatives locales



NIMD ონლაინ

ამომრჩეველთა საინფორმაციო ვებგვერდები:
Partiebi.ge
Presidenti.ge

როგორ გავხდეთ NIMD-ელი: ინფორმაცია NIMD-ის დემოკრატიის სკოლების შესახებ
გვერდი Facebook-ზე: NIMD Democracy School
ონლაინ აპლიკაცია: school.nimd.ge

NIMD-ის დემოკრატიის ბანაკის ვიდეოლექციები, დისკუსიები და მოხსენებები:
democracybootcamp.ge – „იდენტობა“ – დემოკრატიის ზამთრის ბანაკი 2016
2015.democracybootcamp.ge – „ქალაქები“ – დემოკრატიის ზაფხულის ბანაკი 2015

პუბლიკაციების ელექტრონული ბიბლიოთეკა
www.nimd.ge

13 მითი სტალინის შესახებ, ბლოგი: 13mythsaboutstalin.ge

NIMD YouTube-ზე
<https://www.youtube.com/channel/UCh1G8zVQ1JefUVhvb2L1xDw>

NIMD Twitter-ზე
https://twitter.com/NIMD_EEN

